შპს "ვაკო მოტორსის"

ვებ.გვერდით სარგებლობის პირობები

1. ზოგადი პირობები

1.1. შპს „ვაკო მოტორსი" (ს/ნ: 202463823; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დიღმის მას., VI კვ., კორპ. N23ა; ტელეფონის ნომერი: 0322 49 75 75; შედმგომში - "კომპანია"/"ვაკო მოტორსი") წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიას, რომელიც 2009 წლიდან ახორციელებს სატვირთო ავტომანქანების და მისი სათადარიგო ნაწილების რეალიზაციას, ტექნიკურ მომსახურებას და სატვირთო ავტომანქანების რემონტს;

1.2 წინამდებარე დოკუმენტით რეგულირდება შპს "ვაკო მოტორსის" მართვაში არსებული ვებ.გვერდით www.vakomotors.ge და ონლაინ მაღაზიით www.shop.vakomotors.ge სარგებლობის წესები და პირობები.

1.3 www.shop.vakomotors.ge წარმოადგენს გაყიდვების ონლაინ პლატფორმას, სადაც რეგისტრაცია შეუძლია გაიაროს როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირმა (შემდგომში - "კლიენტი") და შეიძინოს "ვაკო მოტორსის" მიერ გასაყიდად განთავსებული პროდუქტი/საქონელი.

1.4 წინამდებარე დოკუმენტით რეგულირდება „მომხმარებელსა" და „ვაკო მოტორსს" შორის წარმოშობილი ურთიერთობა, რომელიც უკავშირდება „მომხმარებლის" მიერ შპს „ვაკო მოტორსის" ვებგვერდით სარგებლობას, ამავე ვებგვერდის საშუალებით პირადი ანგარიშის გახსნას, რეგისტრაციას/ავტორიზაციას, ანგარიშზე პერსონალური მონაცემების განთავსებას და გამოყენებას და ამავე ვებგვერდზე შპს „ვაკო მოტორსის" მიერ განთავსებული პროდუქციის/საქონლის შეძენას.

1.6. „კომპანია" საქმიანობას ახორციელებს „ელექტრონული კომერციის შესახებ" საქართველოს კანონის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და სრულად იზიარებს „მომხმარებლის" პატივისცემაზე დამყარებულ ქცევის კულტურას. ამასთანავე, „კომპანია" სრულად კრძალავს სამომხმარებლო ურთიერთობებში ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას.

2. ტერმინთა განმარტება

"მოვაჭრე" - შპს „ვაკო მოტორსი";

„კლიენტი"/"მყიდველი" – „მომხმარებელი" ან „ორგანიზაცია";

„მომხმარებელი" - საქართველოს მოქალაქე ან არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომელიც რეგისტრირდება კომპანიის „ვებგვერდზე" და რომელსაც სურს „მოვაჭრისგან" ონლაინ პლატფორმის საშუალებით მიიღოს შემოთავაზებული საქონელი ან რომელიც იძენს ან შემდგომ იყენებს საქონელს უპირატესად პირადი მომხმარების მიზნით და არა სავაჭრო, სამეწარმეო, სახელობო ან სხვა პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად;

„ორგანიზაცია" - საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც „კომპანიის" ვებგვერდზე რეგისტრირდება და რომელსაც სურს „ვაკო მოტორსისგან" შეიძინოს საქონელი, რომლის გამოყენების მიზანია სავაჭრო, სამეწარმეო, სახელობო ან სხვა პროფესიული საქმიანობის განხორციელება. „ორგანიზაციაზე" არ ვრცელდება წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი პერსონალური მონაცემების მარეგულირებელი მუხლები (აღნიშნული მუხლი ვრცელდება მხოლოდ ორგანიზაციის მიერ მითითებული საკონტაქტო პირის პერსონალურ მონაცემებზე), საქონლის უკან დაბრუნების წესები და კომერციული გარანტიის პირობები.

„მონაცემთა სუბიექტი" – მომხმარებელი, რომლის მონაცემიც მუშავდება შპს „ვაკო მოტორსის" მიერ.

„რეგისტრაცია" – „კლიენტის" მიერ ვებ-გვერდის საშუალებით რეგისტრირებული ანგარიშის შექმნა;

„ავტორიზაცია" – „კლიენტის" მიერ პირად ანგარიშზე წვდომა. ავტორიზაცია ხორციელდება კლიენტის უნივერსალური იდენტიფიკატორების საშუალებით;

„ვალიდაცია“ – „კლიენტის“ მიერ რეგისტრაციისას/ავტორიზაციისას იმ ტელეფონის ნომრის და პირადი ნომრის მითითება, რომელიც, იმავდროულად ასახულია „ვაკო მოტორსის“ სისტემაში და რომლის მეშვეობითაც დგინდება ვებსაიტზე რეგისტრირებული პირისა და „ვაკო მოტორსის“ სისტემაში რეგისტრირებული პირის იდენტურობა.

პერსონალური მონაცემი - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;

მონაცემთა დამუშავება – მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან /და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით;

პირდაპირი მარკეტინგი – ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის პირდაპირი და უშუალო მიწოდება ფიზიკური პირის ან /და იურიდიული პირის, საქონლის, იდეის, მომსახურების, სამუშაოს ან /და წამოწყების, აგრეთვე საიმიჯო და სოციალური თემატიკისადმი ინტერესის ფორმირების, შენარჩუნების, რეალიზაციის ან /და მხარდაჭერის მიზნით;

3. რეგისტრაციის და ავტორიზაციის პირობები

3.1 „კლიენტი“ რეგისტრირებულ ანგარიშს ქმნის ვებ.გვერდიდან - www.shop.vakomotors.ge;

3.1.1 ანგარიშის შესაქმნელად აუცილებელია ფიზიკურმა პირმა მიუთითოს მისი პერსონალური მონაცემები, კერძოდ:

- სახელი, გვარი;
- მობილური ტელეფონის ნომერი;
- ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- ქვეყანა;
- იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;
- დაბადების თარიღი;
- პირადი ნომერი;
- ინფორმაცია დღგ-ს გადამხდელის სტატუსის თაობაზე.

*ფიზიკური პირის მიერ რეგისტრაციის გავლის შემთხვევაში, მომხმარებელი რეგისტრაციით ადასტურებს, რომ ის არის სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი.

3.1.2 ორგანიზაციის მიერ ანგარიშის შესაქმნელად აუცილებელია მიეთითოს:

- საკონტაქტო პირის სახელი, გვარი;
- საკონტაქტო პირის პირადი ნომერი;
- საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომერი;
- ორგანიზაციის ელ.ფოსტის მისამართი
- ინფორმაცია დღგ-ს გადამხდელის სტატუსის შესახებ;
- ქვეყანა;
- იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი.

- მეორე საკონტაქტო პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი.

3.2 მონაცემების შეყვანის დასრულების შემდგომ "კლიენტი" ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს წინამდებარე დოკუმენტს, რის დასადასტურებლადაც კლიენტი მონიშნავს ფანჯარას - - „დადასტურებას". რითიც სრულდება კლიენტის ვებ.გვერდზე რეგისტრაციის პროცესი.

3.3 ვებგვერდზე რეგისტრაციისას მომხმარებელი ვალდებულია რეგისტრაციის მიზნებისათვის განათავსოს მხოლოდ ზუსტი და სრული ინფორმაცია, ასევე, მოახდინოს ამ ინფორმაციის განახლება თუ ის შეიცვლება.

3.4 რეგისტრაციის წარმატებით დასრულებისას მომხმარებელს გაუაქტიურდება პირადი ანგარიში (მომხმარებლის სახელით და პაროლით). ვებგვერდზე https://shop.vakomotors.ge/ ავტორიზაცია და კომპანიის მომსახურებით სარგებლობა, მომხმარებლის/კლიენტის პირადი ანგარიშის მეშვეობით, არ არის ნებადართული ნებისმიერი სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის, რომელიც არ არის ამ ანგარიშის მფლობელი. მომხმარებელია/კლიენტია პასუხისმგებელი მსგავსი უნებართვო სარგებლობის აღკვეთაზე. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა ვებგვერდზე შესვლა და მომსახურებით სარგებლობის უფლება მანამდე შეწყვეტილ იქნა კომპანიის მიერ, არ აქვთ უფლება სხვა პირის სახელით დარეგისტრირდნენ ანგარიშის გასახსნელად.

3.5 პირს, რომელსაც გავლილი აქვს ვალიდაცია, ასევე, ეძლევა შესაძლებლობა, რომ დამატებით ისარგებლოს კომპანიის მიერ შეთავაზებული ბენეფიტებით, მათ შორის, გაუვრცელდეს კომპანიის მიერ მინიჭებული ფასდაკლების სტატუსი.

4. "მომხმარებლის"/"კლიენტის" განცხადებები

4.1 წინამდებარე დოკუმენტზე დათანხმებით "მომხმარებელი"/ "კლიენტი" ადასტურებს, რომ:

4.1.1 დეტალურად გაეცნო ვებ.გვერდით სარგებლობის პირობებს და ეთანხმება მას;

4.1.2 მის მიერ მითითებული ყველა მონაცემი არის ნამდვილი და ზუსტი.

4.1.3 არის 18 წელს მიღწეული, ქმედუნარიანი პირი და დაიცავს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს;

4.1.4 მკაცრად დაიცავს „ვაკო მოტორსის" და მისი მომწოდებლების საავტორო და ინტელექტუალურ უფლებებს, არ განახორციელებს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის სრულად ან რაიმე ნაწილის კოპირებასა და გავრცელებას ნებისმიერი სახით და მიზნებისათვის;

4.1.5 მკაცრად დაიცავს თავისი პირადი ანგარიშის კონფიდენციალურობას, არ გაუმჟღავნებს ნებისმიერ მესამე პირს თავისი ანგარიშის მონაცემებს, რათა დაცული იყოს მისი პირადი ანგარიშის უსაფრთხოება;

4.1.6 არ განახორციელებს ისეთ ქმედებებს, რომელიც მიმართულია სხვა მომხმარებლის პერსონალური და კონფიდენციალური ინფორმაციის კანონდარღვევით მოპოვებისა და განკარგვისაკენ;

4.1.7 არ გაასაღებს თავს სხვა მომხმარებლად ან/და არ გამოიყენებს სხვა მომხმარებლის პირად მონაცემებსა და გვერდს;

4.1.8 არ განახორციელებს ისეთ ქმედებას, რომელიც საფრთხეს უქმნის „ვაკო მოტორსის" ვებგვერდის ან მომსახურების გამართულ ფუნქციონირებას;

4.1.9 არ განახორციელებს ისეთ ქმედებას, რომელიც აკრძალულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით.

4.2 კლიენტის მიერ რომელიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კომპანია იტოვებს უფლებას, რომ დაუბლოკოს ანგარიში კლიენტს და აღარ მისცეს ვებგვერდით სარგებლობის შესაძლებლობა.

5. ვებგვერდზე განთავსებული საქონლის/პროდუქციის ონლაინ შესყიდვის წესები და პირობები

5.1 „მომხმარებლის“/კლიენტის მიერ ვებგვერდის საშუალებით განთავსებული საქონლის/პროდუქციის შეძენის შემთხვევაში „მომხმარებელს”/”კლიენტს” და „ვაკო მოტორსს“ შორის წარმოიშობა სახელშეკრულებო ურთიერთობა (ნასყიდობა), კერძოდ, კომპანია იღებს ვალდებულებას ნასყიდობის ფასის გადახდის სანაცვლოდ გადასცეს საკუთრებაში „მომხმარებელს“/”კლიენტს” მოთხოვნილი საქონელი.

5.2 „მომხმარებელი“ უფლებამოსილია შპს „ვაკო მოტორსისგან" საქონელი/პროდუქცია შეიძინოს ნებისმიერი ფორმით. მათ შორის, კომპანიის მაღაზიაში ადგილზე მისვლით ან ვებგვერდის - https://shop.vakomotors.ge/ გამოყენებით, მათ შორის ადგილზე მიტანის სერვისით, რაც ცალკე ანაზღაურდება;

5.3 საქონლის შესაძენად, “მყიდველი” ვებგვერდზე ირჩევს მისთვის სასურველ საქონელს და განათავსებს ვირტუალურ კალათში, რის საფუძველზეც “კლიენტს” გადახდის კალათაში გამოუჩნდება გვერდი „შეკვეთა მყიდველისგან“;

5.4 გვერდზე „შეკვეთა მყიდველისგან“ მითითებული საქონლის შეძენის შემთხვევაში „ვაკო მოტორსი“ ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს შეძენილი საქონელი;

5.5 „ვაკო მოტორსის“ მიერ ონლაინ შეკვეთების მიღება ხდება ყოველდღე 24 საათის განმავლობაში, ხოლო შეძენილი საქონლის/პროდუქციის მიწოდებას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. მიწოდების ხარჯს იხდის მყიდველი.

5.6 მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონლის/პროდუქციის გასაგზავნად გამზადება და გაგზავნა განხორციელდება:

- თბილისის ფარგლებში - შეკვეთილი საქონლის ღირებულების გადახდიდან მეორე სამუშაო დღეს;
- რეგიონებში, შეკვეთილი საქონლის ღირებულების გადახდიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

თუ უშუალოდ საქონლის არჩევის დროს მიწოდების სხვა ვადა არ არის განთავსებული ვებ.გვერდზე.

5.7 მყიდველმა ნასყიდობის ფასი უნდა გადაიხადოს წინასწარ, უნაღდო ანგარიშსწორების წესით. შეკვეთის დასრულებისთანავე კომპანია ვებსაიტზე ასახავს/დაადასტურებს შეკვეთის დასრულების ფაქტს. მოვაჭრეს მყიდველისთვის საქონლის მიწოდების და საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება წარმოეშვება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მყიდველი სრულად გადაიხდის „საქონლის“ ნასყიდობის ფასს.

5.8 „ვაკო მოტორსი“ ვალდებულია გვერდზე „შეკვეთა მყიდველისგან“ მითითებულ მისამართზე უზრუნველყოს შეძენილი საქონლის/პროდუქციის მიწოდება. პროდუქტის მიღება-ჩაბარება მყიდველის სახელით შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც იქნება მითითებულ მისამართზე და წარადგენს შეკვეთის უნიკალური კოდსა და თავის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს. იმ შემთხვევაში, თუ მოვაჭრე უზრუნველყოფს საქონლის მიწოდებას მყიდველისთვის და მოვაჭრის წარმომადგენელს არავინ არ დახვდება მის მიერ მითითებულ მისამართზე, მოვაჭრე თავის ობიექტზე შეინახავს საქონელს არაუმეტეს 1 (ერთი) თვის განმავლობაში და მყიდველი ვალდებული იქნება აღნიშნული ვადის განმავლობაში ობიექტიდან გაიტანოს შეკვეთილი საქონელი. თუ ამ ვადაში არ უზრუნველყოფს მყიდველი საქონლის გატანას მოვაჭრის მისამართიდან, გადახდილი თანხა უკან დაუბრუნდება მომხმარებელს (საქონლის მიწოდების ხარჯების გამოკლებით) და საქონელი ჩაეშვება კვლავ რეალიზაციაში.

5.9 მყიდველი ვალდებულია დაიცვას შეკვეთის უნიკალური კოდის უსაფრთხოება. „ვაკო მოტორსი“ არ არის პასუხისმგებელი შეკვეთის უნიკალური კოდის არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოყენებით დამდგარ ნებისმიერ შედეგზე.

6. საქონლის მიღების და შემოწმების წესი

6.1 „მოვაჭრე“ ვალდებულია კლიენტს საქონელი მიაწოდოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში;

6.2 საქონელი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა, ხოლო უფლებრივად უნაკლოდ მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ მას არ ადევს ყადაღა, არ არის სამართლებრივად დატვირთული (მათ შორის, საგადასახადო გირავნობა-იპოთეკის უფლებით) და მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო.

6.3 მყიდველი ვალდებულია:

- არ ჩაიბაროს დაზიანებული შეფუთვით მიტანილი გზავნილი და ამ ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მოვაჭრეს;
- დარწმუნდეს დაზიანების არსებობის ან არარსებობის შესახებ;
- გზავნილის ჩაბარებამდე შეამოწმოს ნივთების რაოდენობა.
- გზავნილის მიღებისას შეამოწმოს ნივთის მახასიათებელები, შეესაბამება თუ არა მიღებული ნივთი მის მიერ შეკვეთილს.

6.4 იმ შემთხვევაში, თუ ნივთი ან მისი შეფუთვა დაზიანებულია, ნივთები შეკვეთილზე ნაკლებია ან გზავნილი არ შეესაბამება მოვაჭრის მიერ განხორციელებულ შეკვეთას, მყიდველმა არ უნდა მიიღოს საქონელი და დაუყოვნებლივ განუცხადოს აღნიშნულის თაობაზე მოვაჭრეს. წინამდებარე მუხლით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მოვაჭრე იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას ნივთების დაზიანებაზე ან ნივთების რაოდენობაზე.

6.5 იმ შემთხვევაში, თუ გადაცემული საქონელი ნაკლიანი აღმოჩნდება, მოვაჭრე ვალდებულია შეკეთების გზით აღმოფხვრას ხარვეზი, ხოლო შეკეთების შეუძლებლობის შემთხვევაში შეცვალოს იგი სხვა ნივთით ან დაუბრუნოს მომხმარებელს ნასყიდობის ფასი და დაიბრუნოს გადაცემული საქონელი.

6.6 ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვაჭრის პასუხისმგებლობა მყიდველის წინაშე შემოიფარგლება მხოლოდ ხარვეზით შესრულებული სამუშაოს გამოსწორებით/ნაკლიანი ნივთის შეკეთებით ან თუ შეკეთებას არ დაექვემდებარება ახლით შეცვლით და მოვაჭრე მყიდველს სხვა ფორმით არ აუნაზღაურებს მისთვის მიყენებულ ნებისმიერი სახის ზიანს/ზარალს (მათ შორის მიუღებელ შემოსავალს, ფაქტობრივად დამდგარ ზიანს, მათ შორის, ნებისმიერ ხარჯს, რაც წარმოეშვა მყიდველს) ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ მოვაჭრის პასუხისმგებლობა მის მიერ გაყიდული საქონლის ხარისხზე გამოირიცხება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დამონტაჟებული იქნება სხვა პირის მიერ.

7. ონლაინ ნაყიდი საქონლის უკან დაბრუნების წესი

7.1 წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული წესები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქონლის შემსყიდველს წარმოადგენს „მომხმარებელი“.

7.2 „მომხმარებელს“ უფლება აქვს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე თქვას უარი დისტანციურ ხელშეკრულებაზე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში და მოითხოვოს ონლაინ ნაყიდი საქონლის უკან დაბრუნება. აღნიშნული ვადა აითვლება მომხმარებლის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მიერ (გარდა გადამზიდავისა) საქონლის მფლობელობაში მიღების მომენტიდან.

7.3 ნივთის დაბრუნების პირობები არ ვრცელდება იმ ნივთზე ან მომსახურებაზე, რომლის ფასი 30 ლარზე ნაკლებია.

7.4 მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მას არ დაეკისრება არანაირი ხარჯის (მათ შორის, მიწოდების ხარჯის) გაწევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელმა მოვაჭრის მიერ შეთავაზებული სტანდარტული მიწოდების მომსახურებაზე უფრო ძვირი მიწოდების მომსახურება აირჩია ან საქონლის ფასი შემცირდა ისეთი სარგებლობის შედეგად, რომელიც დაკავშირებული არ არის საქონლის ბუნების, მახასიათებლებისა და ფუნქციონირების დადგენასთან.

7.5 მომხმარებლის მიერ დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმა ავტომატურად იწვევს დაკავშირებული ხელშეკრულებიდან მის გასვლას და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

7.6 მომხმარებელი ვალდებულია მოვაჭრეს **14 კალენდარული დღის ვადაში** წერილობით აცნობოს (იურიდიულ მისამართზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე) ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე, სადაც უნდა მიეთითოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- მოვაჭრის სახელწოდება,
- ფაქტობრივი მისამართი,
- ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- შეკვეთის თარიღი;
- შეკვეთის მიღების თარიღი;
- მომხმარებლის სახელი;
- მომხმარებლის მისამართი;
- მომხმარებლის ხელმოწერა (თუ ფორმა ქაღალდზეა შევსებული);
- ფორმის შევსების თარიღი.

7.7 ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გადახდილი თანხა, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – მიწოდების ხარჯის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხა დაუბრუნოს სრულად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა. მოვაჭრე ვალდებული არ არის, მომხმარებელს დაუბრუნოს იმ დამატებითი ხარჯის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხა, რომელიც დაკავშირებულია მომხმარებლის მიერ არასტანდარტული ან კომპანიის მიერ შეთავაზებული მიწოდების მომსახურებაზე უფრო ძვირი მიწოდების მომსახურების არჩევასთან;

7.8 ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოვაჭრეს უფლება აქვს უარი თქვას თანხის დაბრუნებაზე მანამ, სანამ საქონელს არ დაიბრუნებს ან მომხმარებლისგან არ მიიღებს საქონლის გაგზავნის დამადასტურებელ დოკუმენტს, იმის მიხედვით, რომელიც უფრო ადრე განხორციელდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპანიამ თავად იკისრა საქონლის უკან წაღება.

7.9 თანხის უკან დაბრუნება მოხდება იმავე ანგარიშსწორების ფორმით, რითიც ისარგებლა მომხმარებელმა, იმავე პიროვნების/მოქალაქის ანგარიშის ნომერზე, ვინც მოახდინა გადახდა გარდა იმ შემთხვევისა, თუ მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის შედგა დამატებითი შეთანხმება.

7.10 ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია:

- მოვაჭრეს ან მის მიერ განსაზღვრულ მესამე პირს დაუბრუნოს საქონელი ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების გაგზავნის შემდეგ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვაჭრემ თავად იკისრა საქონლის უკან წაღება;
- გასწიოს მხოლოდ საქონლის დაბრუნებასთან დაკავშირებული პირდაპირი (უშუალო) ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვაჭრემ თავად იკისრა ამ ხარჯის გაწევა.
- ნივთის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ სრული კომპლექტაციით და დაუზიანებელი ქარხნული შესაფუთი მასალით. ასევე მომხარებელმა უნდა დააბრუნოს ყიდვის მომენტში მიმდინარე აქციის ფარგლებში მიღებული აქსესუარები, ელ.ვაუჩერები ან/და სხვა ნივთები, რომლებიც უნდა დაბრუნდეს ან შეიცვალოს

ორიგინალ/დასაბრუნებელ მოწყობილობასთან ერთად. თუ ვერ მოხდება აღნიშნული ნივთების/ვაუჩერების დაბრუნება, მათი ღირებულება გამოაკლდება მომხმარებლისთვის ასანაზღაურებელ თანხას.

7.11 ნივთის უნაკლო, გაყიდვამდელი მდგომარეობა დადასტურდება მოვაჭრის წარმომადგენლის მიერ ნივთის კომპანიისათვის გადმოცემის მომენტში.

7.12 დაბრუნებას არ ექვემდებარება:

- ნივთი, რომელიც დამზადებულია მომხმარებლის შეკვეთით;
- მიწოდებული საქონელი, რომელიც მიწოდების დროს განუყოფლად შეერწყა სხვა საქონელს;
- ნივთი, რომელსაც აღმოაჩნდება რაიმე სახის ფიზიკური/გარეგანი დაზიანება, დაზიანებული იქნება ქარხნული ყუთი/შეფუთვა ან წაშლილი იქნება პროდუქტის საიდენტიფიკაციო/იმეი კოდი.
- სხვა შემთხვევებში, რაც გათვალისწინებულია „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.

7.13 ნივთი, რომლის დაბრუნებაც სურს მომხმარებელს არის მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში, სანამ ისინი მოვაჭრის საწყობს არ მიაღწევენ, მათი დაზიანების ან დაღუპვის რისკი გეკისრება მომხმარებელს.

7.14 ნივთის დაბრუნების დროს მომხმარებელმა მოვაჭრეს უნდა წარუდგინოს შესაბამისი ინვოისის ნომერი, ნივთის შეძენის დამადასტურებელი ქვითარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საფოსტო გზავნილის დოკუმენტი როგორც ნივთის გამყიდველისათვის გამოგზავნის მტკიცებულება.

8. გარანტია

8.1 იმ შემთხვევაში, თუ საქონლის შემსყიდველს წარმოადგენს ორგანიზაცია და საქონელზე მოვაჭრე ავრცელებს გარანტიას, აღნიშნული მითითებული იქნება შესაბამის საგარანტიო ფურცელში, რაც გადაეცემა მყიდველს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქონლის შემსყიდველს წარმოადგენს „მომხმარებელი“, ნაყიდ პროდუქციაზე გავრცელდება 2 წლიანი კომერციული გარანტია.

8.2 თუ გარანტიის მოქმედების დროს საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა (საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან თუ შეკეთებას არ დაექვემდებარება საქონლის შეცვლა, ფასის შემცირება/თანხის უკან დაბრუნება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან.

8.3 საქონელი შეკეთებული ან შეცვლილი უნდა იყოს გონივრულ ვადაში, ისე, რომ მომხმარებელს არ შეექმნას მნიშვნელოვანი შეფერხება საქონლის ბუნებისა და იმ მიზნის გათვალისწინებით, რომლისთვისაც მან ეს საქონელი შეიძინა.

8.4 საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა გულისხმობს მოვაჭრის მიერ ყველა ხარჯის (მათ შორის, სამუშაო ძალისა და მასალების ხარჯების) გაწევას, რომლებიც საჭიროა საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

8.5 მომხმარებელს არ აქვს უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ საქონლის ნაკლი უმნიშვნელოა.

9. პერსონალური მონაცემების დამუშავება

9.1 „მომხმარებლის“ ან/და „ორგანიზაციის“ მიერ მითითებული საკონტაქტო პირების ვებ.გვერდზე რეგისტრაციისა და შემდგომში მათთვის მომსახურების გაწევის (მათ შორის, საქონლის მიწოდების) მიზნით კომპანია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კომპანიის მიერ დამტკიცებული კონფიდენციალურობის პოლიტიკის საფუძველზე ამუშავებს მონაცემთა სუბიექტთა პერსონალური მონაცემების დამუშავებას.

9.2 კომპანია/მოვაჭრე ამუშავებს მომხმარებლის/ორგანიზაციის საკონტაქტო პირების პერსონალურ მონაცემებს შემდეგი მიზნობრიობით:

- კომპანიის ვებგვერდზე რეგისტრაცია და ანგარიშის შექმნა;
- შეკვეთილი საქონლის მიწოდება;

9.3 პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძველს წარმოადგენს:

- მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;
- კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება.

9.4 „მომხმარებელი"/ორგანიზაციის საკონტაქტო პირი „ვებგვერდზე" რეგისტრაციით თანხმობას აცხადებს და უფლებამოსილებას ანიჭებს „კომპანიას" დაამუშაოს რეგისტრაციის დროს მის მიერ მითითებული პერსონალური მონაცემები.

9.5 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს იმის დადასტურება, მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად უსასყიდლოდ მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მის შესახებ იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება, აგრეთვე ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ;

ბ) მონაცემთა შეგროვების /მოპოვების წყაროს შესახებ;

გ) მონაცემთა შენახვის ვადის (დროის) შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;

დ) მონაცემთა სუბიექტის ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების შესახებ;

ე) მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ, თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას;

ვ) მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;

ზ) ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების და იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების მოსალოდნელი /სავარაუდო შედეგის თაობაზე.

9.6 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს აღნიშნული ინფორმაცია მიიღოს მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. ეს ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ ეცნობება.

9.7 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა გაცნობისთვის ან /და მონაცემთა ასლების გაცემისთვის დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ დადგენილია გონივრული საფასური მონაცემთა შენახვის ფორმისგან განსხვავებული ფორმით მათი გაცემისთვის დახარჯული რესურსის ან /და მოთხოვნის სიხშირის გამო.

9.8 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, გაეცნოს აღნიშნულ მონაცემებს ან /და მიიღოს მათი ასლები მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. აღნიშნული ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ ეცნობება.

9.9 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ მცდარი, არაზუსტი ან /და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან /და შევსება. მონაცემთა სუბიექტის მიერ ამ მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა მონაცემები უნდა გასწორდეს,

განახლდეს ან /და შეივსოს ან მონაცემთა სუბიექტს ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტოს უარის გასაჩივრების წესი.

9.10 თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მონაცემთა სუბიექტისგან დამოუკიდებლად გამოავლენს, რომ მის ხელთ არსებული მონაცემები მცდარი, არაზუსტი ან /და არასრულია, აღნიშნული გონივრულ ვადაში გასწორდება, განახლდება ან /და შეივსება მონაცემები და მონაცემთა გასწორებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება მონაცემთა სუბიექტს.

9.11 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, პროფაილინგის) შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება. აღნიშნული მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა შეწყდება მონაცემთა დამუშავება ან /და მონაცემები წაიშლება ან განადგურდა ან მონაცემთა სუბიექტს ეცნობება მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტება უარის გასაჩივრების წესი.

9.12 დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს უფლება აქვს, უარი თქვას 9.11 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ:

ა) არსებობს მონაცემთა დამუშავების კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი;

ბ) მონაცემები მუშავდება სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთების მიზნით;

გ)მონაცემთა დამუშავება აუცილებელია გამოხატვის ან ინფორმაციის თავისუფლების უფლების განსახორციელებლად;

დ) მონაცემები მუშავდება კანონით გათვალისწინებული საჯარო ინტერესებისთვის არქივირების მიზნით, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისთვის და მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლების განხორციელება შეუძლებელს გახდის ან მნიშვნელოვნად დააზიანებს დამუშავების მიზნების მიღწევას.

9.13 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების შესახებ ინფორმაცია მიიღოს შესაბამისი მოქმედების განხორციელებისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

9.14 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მონაცემთა დაბლოკვა, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:

ა) მონაცემთა სუბიექტი სადავოს ხდის მონაცემების ნამდვილობას ან სიზუსტეს;

ბ) მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა მონაცემთა სუბიექტი ეწინააღმდეგება მათ წაშლას და ითხოვს მონაცემთა დაბლოკვას;

გ) მონაცემები საჭირო აღარ არის მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა მონაცემთა სუბიექტს ისინი სჭირდება საჩივრის /სარჩელის წარსადგენად;

დ) მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობს ამ მოთხოვნის განხილვა;

ე) არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა.

10. Cookies ფაილები

10.1 შპს "ვაკო მოტორსი" იყენებს Cookies ფაილებს. Cookies ფაილები გამოიყენება იმისთვის, რომ ვებგვერდმა შეინახოს ინფორმაცია მომხმარებლების ქცევის შესახებ და გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი. მათი მეშვეობით გენერირდება და გროვდება შემდეგი ინფორმაცია:

- IP მისამართი;
- მოწყობილობის ტიპი;
- ვებგვერდის ვიზიტის დრო, თარიღი, ხანგრძლივობა;

- ბრაუზერი;
- რომელი პლატფორმიდან გადმომისამართდა კლიენტი შპს “ვაკო მოტორსის” ვებგვერდზე;
- ინფორმაცია “ვაკო მოტორსის” ვებგვერდზე განხორციელებული ქმედებების შესახებ - რა პროდუქტები დაათვალიერა კლიენტმა.

10.2 ზემოაღნიშნული ინფორმაციით არ ხორციელდება კონკრეტული მომხმარებლის იდენტიფიცირება და წარმოადგენს ანალიტიკურ მონაცემებს.

10.3 ამგვარი ინფორმაციის დამუშავების მიზანია:

- გაანალიზოს კომპანიამ ტრენდები;
- “კომპანიამ” მართოს ვებ.გვერდი;
- აწარმოოს სტრატისტიკა;
- თვალი ადევნოს მომხმარებლების ქმედებებს ვებგვერდზე გამოცდილების შექმნის მიზნით;
- ეფექტური მარკეტინგული აქტივობების შესამუშავებლად და განსახორციელებლად;
- რჩევებისა და რეკომენდაციების მისაცემად;

10.4 ვებგვერდის გამოყენების დაწყებისას მომხმარებელს აქვს საშუალება დაეთანხმოს cookies. თუ მომხმარებელი არ დააჭერს შესაბამის ღილაკს და შეტყობინების მიუხედავად გააგრძელებს ვებგვერდით სარგებლობას, მას ექნება შეზღუდული წვდომა ვებგვერდზე.

10.5 Cookie-ს პარამეტრების ცვლილება შესაძლებელია ბრაუზერის პარამეტრების შეცვლით.

11. დასკვნითი დებულებები

11.1 წინამდებარე დოკუმენტი განთავსებულია ვებგვერდზე და გამოქვეყნების მომენტიდან სავალდებულოა ყველა იმ პირისთვის, რომელიც უკვე რეგისტრირებულია.

11.2 კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივად, ამავე ვებგვერდზე გამოქვეყნების გზით, შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე დოკუმენტში მომხმარებლის შემდგომი დამატებითი თანხმობის გარეშე. ზემოთხსენებული ცვლილების შემდეგ ვებგვერდის გამოყენების გაგრძელება ჩაითვლება კლიენტის მხრიდან ცვლილებებზე თანხმობად.

11.3 წინამდებარე წესებითა და პირობებით გათვალისწინებულ ურთიერთობებზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა.

11.4 ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მხარეთა შორის, უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ თბილისის საქალაქო სასამართლოს.

11.5 მომხმარებელი უფლებამოსილია წარუდგინოს კომპანიას პრეტენზია ზეპირი ან წერილობითი ფორმით. ზეპირი ფორმით პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია მოვაჭრის ცხელ ხაზზე, ხოლო წერილობითი ფორმით პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევაში მომხმარებელი უფლებამოსილია მიმართოს კომპანიას/მოვაჭრეს მის იურიდიულ მისამართზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით.

11.6 კომპანია განიხილავს მომხმარებლის მიერ დაფიქსირებულ პრეტენზიას შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის ვადაში და კომუნიკაციის იმავე ფორმის გამოყენების გზით შეატყობინებს მომხმარებელს დაფიქსირებული პრეტენზიის განხილვის შედეგებს.

11.7 მომხმარებლის უფლებების დარღვევის თაობაზე პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს საჯარო სამართის იურიდიულ პირს, საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს. აღნიშნული უფლების არსებობა მომხმარებელს არ ართმევს უფლებას მიმართოს სასამართლოს.